საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №134/ნ

2024 წლის 16 აგვისტო

ქ.თბილისი

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №42/ნ ბრძანებით (www.matsne.gov.ge, 22/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.018150) დამტკიცებული „საგნისა და პროფესიული უნარების გამოცდების ჩატარების წესს“ დაემატოს შემდეგი შინაარსის 34-ე მუხლი:

„მუხლი 34. 2023 წელს პროფესიული უნარების გამოცდაში მონაწილეობის მიზნით შეცდომით გადახდილი საფასურის დაბრუნების თავისებურებები

1. იმ პირებს, რომელთაც 2023 წლის საგნის გამოცდაზე რეგისტრაციისას შეცდომით გადაიხადეს პროფესიული უნარების გამოცდაში მონაწილეობის საფასური, უფლება აქვთ აღნიშნული საფასურის დაბრუნების მოთხოვნით, ცენტრის მიერ განსაზღვრული ფორმით, მიმართონ ცენტრს, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ დამატებით ვადაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ საფასურს ცენტრი დააბრუნებს საფასურის დაბრუნების შესახებ განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან ერთი თვის განმავლობაში.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი